საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ბ. ს. ს. (მოსამართლე ა. გ.)

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.10.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 065/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. ც.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. ც.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2021 წლის 05 ოქტომბერს საჩივრით მომართა ბ. ს. ს.-მ (მოსამართლე ა. გ.) და მოითხოვა ადვოკატ დ. ც.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2021 წლის 13 სექტემბრიდან ბ. ს. ს.-ში მიმდინარეობს ადმინისტრაციული დავა, რომლის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადვოკატი დ. ც., საქმეს იხილავს მოსამართლე ა. გ..

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, აღნიშნული საქმის განხილვისას ბ. ს. ს.-ს, კერძოდ მოსამართლე ა. გ.-ს, 14, 17 და 20 სექტემბერს განცხადება-საჩივრით მიმართა ადვოკატმა დ. ც.-მ. საჩივრის ავტორის განმარტებით, წარმოდგენილი განცხადებები შეიცავს მოსამართლის მიმართ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით უკიდურესად შეურაცხმყოფელ

გამონათქვამებს, რაც აშკარად ლახავს როგორც მოსამართლის, ისე ადვოკატის მაღალ ღირსებას და აკნინებს ორივე უწყების რეპუტაციას.

1.4 საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი დამატებითი განცხადების თანახმად, 2021 წლის 04 ოქტომბერს ადვოკატმა კვლავ წარადგინა შუამდგომლობა მოსამართლე ა. გ.-ის მიმართ, სადაც წინა შუამდგომლობების მსგავსი, შეურაცხმყოფელი განცხადებები გააკეთა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა დ. ც.-მ ეთიკის კომისიაში ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2021 წლის 08 დეკემბერს. ადვოკატის განცხადებით, იმისათვის რომ კონფლიქტის მიზეზი უკეთ აღქმადი იყოს კოლეგიისათვის, საჭიროა განმარტება იმ საქმის შესახებ, სადაც მის ოჯახს მოსამართლე ა. გ. მოევლინა პირად მტრად, ბოროტმოქმედ მსაჯულად და ფსევდო მოსამართლედ.

2.2 ადვოკატის განცხადებით, ბოლო ორი წლის განმავლობაში ბიძამისი რ. ც., ბიცოლა, მ. ნ. და მისი და, თ. ნ. განუწყვეტლივ ფსიქოლოგიურ ძალადობას ახორციელებდნენ მის მიმართ. მათ შორის დავაა იმ საცხოვრებელი სახლის გამო, რომლის თანამესაკუთრეებიც არიან. აღნიშნული პირები ხელს უშლიდნენ მას საკუთარი ქონების განკარგვაში სხვადასხვა გზით. ადვოკატის განცხადებით, არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, ადვოკატი მ. ნ.-ისაგან იყო ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსვერპლი. თუმცა, მიუხედავად ამისა, მოსამართლე ა. გ.-მ სამჯერ მის მიმართ, ხოლო ერთხელ დედამისის მიმართ გამოწერა შემაკავებელი ორდერი, რაც გამოწვეული იყო მ. ნ.-ისა და ადვოკატ პ. შ.-ის ცრუ დასმენით.

2.3 ადვოკატის განმარტებით, პირველ ჯერზე, მიუხედავად იმისა, რომ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეების აცილებას ითხოვდა, ვერაფერს გახდა. ანალოგიურად მოხდა მეორე ჯერზეც. მოსამართლე ა. გ.-მ ისიც და დედამისიც მოძალადეებად დატოვა. აღნიშნული გადაწყვეტილებებიც გაასაჩივრა მან სააპელაციო სასამართლოში, ხოლო მოსამართლემ დედამისს გაუუქმა შემაკავებელი ორდერი, თუმცა იგივე არ მოხდა მასთან მიმართებით.

2.4 რაც შეეხება მესამე შემთხვევას, ისევ ა. გ.-მ განიხილა მისი საქმე, კვლავ არ მოხდა აცილება და კვლავ შერაცხეს ადვოკატი მოძალადედ. თუმცა, მისივე განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ გააუქმა გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ ადვოკატ დ. ც.-ის კანონთან კონფლიქტი სარწმუნო ფაქტებითა და მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ მხარეებს შორის უძრავ ნივთთან დაკავშირებით არის დავა და პოლიციისადმი შემაკავებელი ღონისძიებების გამოყენების მრავალჯერადი მოთხოვნა მიმართულია უფრო პირადი ანგარიშსწორების მოტივებით და არა ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის რეალური მიზნებიდან გამომდინარე.

2.5 ადვოკატის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ დასაბუთებული აცილების შუამდგომლობები ჰქონდა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოსაც კი მიმართა, მოსამართლე მაინც არ იცილებდა საქმეს, რაც, ადვოკატის განმარტებით, მიუთითებდა, რომ მოსამართლეს აშკარად პირადი მიზნები ამოძრავებდა, კორუფციული ან სხვა საფუძვლით.

2.6 ადვოკატის მიერ წარმოდგენილია 2020 წლის 02 სექტემბრის დადგენილები, რომლის თანახმად ადვოკატი და დედამისი ცნობილ იქნენ დაზარალებულებად. ასევე, ადვოკატმა წარმოადგინა 2020 წლის 13 ოქტომბრის ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, დ. ც. მ. ნ.-ის ქმედებებიდან გამომდინარე განიცდიდა სისტემატიურ შეურაცხყოფას, ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, შანტაჟსა და დამცირებას, რომელიც გამოიწვევდა მის ტანჯვას. დასკვნის მიხედვით, ადვოკატმა მიიღო ფსიქოლოგიური ტანჯვა. ასევე წარმოდგენილია გამოძიების მიერ დანიშნული ექსპერტიზის პასუხი, რომლის მიხედვითაც, ადვოკატი განიცდის ფსიქოლოგიურ ტანჯვას.

2.7 2021 წლის 08 დეკემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მოსამართლეს არ წარმოუდგენია ის დედანი დოკუმენტი, რომელშიდაც შეურაცხყოფას აყენებს, არამედ მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არის ციტირებები. ამიტომ არ უნდა მოხდეს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. აღსანიშნავია, რომ ადვოკატი არ უარყოფს სადავო ფრაზეოლოგიის გამოყენების ფაქტს, თუმცა მიიჩნევს, რომ ეს განაპირობა მის მიმართ უსამართლო დამოკიდებულებამ, საქმე ეხებოდა მისი ოჯახის პირად დავას და მას საკუთარი თავის დასაცავად სხვა გზა არ დარჩა.

2.8 ადვოკატის განცხადებით, მისი ამგვარი ქმედებები გამოწვეული იყო საქმის გარემოებებიდან გამომდინარე და ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნულმა შედეგი გამოიღო. რაც გამოიხატა იმაში, რომ მის მიერ სადავო განცხადების წარდგენის შემდეგ მოსამართლეს ისე მარტივად აღარ გამოაქვს მისი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება.

2.9 2022 წლის 30 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ სადავო საქმე წარმოადგენდა მხარეს, ეს იყო მისი და მისი ოჯახის პირადი დავა.

3. საპროცესო ეტაპზე ადვოკატის მოწმის, ადვოკატ ზ. პ.-ის ახსნა-განმარტება:

3.1 2021 წლის 08 დეკემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატის შუამდგომლიბის საფუძველზე გამოკითხულ იქნა მოწმე, ადვოკატი ზ. პ.. მოწმის განმარტებით, კოლეგამ ადვოკატმა დ. ც.-მ დაურეკა და სთხოვა, რომ მიეღო მონაწილეობა მის საქმეში, რადგან იგი ქალაქ ბ.-ში ჩასვლას ვერ ახერხებდა. ადვოკატმა ამ სხდომაზე მონაწილეობა მიიღო. ამის შემდეგ, მას დაუკავშირდნენ ბ. ს. ს.-დან და აცნობეს, რომ იმავე დღეს იყო ადვოკატ დ. ც.-ის პროცესი. მას კოლეგისაგან ამის თაობაზე ინფორმაცია არ ჰქონდა მიღებული და რადგან მისი ოფისი სასამართლოსთან ახლოსაა, სასამართლოში მივიდა ვითარების გასარკვევად.

3.2 მოწმის განცხადებით, მოსამართლემ სასამართლოში გამოცხადების შემდეგ აცნობა, რომ უნდა ყოფილიყო დ. ც.-ის წარმომადგენელი, თუმცა, მან უარი განაცხადა, რადგან არ იცნობდა საქმის მასალებს და კოლეგისაგან არ იყო ინფორმირებული.

3.3 მოწმემ განმარტა, რომ პრაქტიკაში ჰქონია შემთხვევა, როდესაც მოსამართლე ა. გ.-მ, მოზომილი ღიმილის გამო, უსაფუძვლოდ მისცა შენიშვნა. ასევე მოწმემ განმარტა, რომ მისი დაკვირვებით მოსამართლე, როგორც ყოფილი პროკურორი, საქმის განხილვისას, ყოველთვის ცდილობს, რომ ბრალდების მხარეს გადაიხაროს.

3.4 მოწმის პოზიციით, მართალია თავად არ იზიარებს იმ კრიტიკის ფარგლებს, როგორც მოქმედებს მისი კოლეგა, ადვოკატი დ. ც., თუმცა საქმე ეხება დ. ც.-ის პირად დავას და ფაქტია,

რომ საჯარო კრიტიკის შემდეგ მოსამართლეს არაერთხელ შეუცვლია თავისი გადაწყვეტილება.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

4.1 2021 წლის 08 დეკემბერს მეორე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ დ. ც.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა დ. ც.-მ სასამართლოსადმი წარდგენილი განცხადებით შელახა კონკრეტული მოსამართლის, სასამართლოს და ადვოკატთა კორპუსის ღირსება, შესაძლოა ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5.გ მუხლი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.1 მუხლი.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტები:

5.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდავოა მხარეთა შორის:

5.1.1 პირად საქმეში, რომელსაც განიხილავდა ბ. ს. ს. (მოსამართლე ა. გ.), დ. ც.-მ, რომელიც მართალია პროფესიით ადვოკატია, სასამართლოს წარუდგინა განცხადებები, როგორც მხარემ:

მოსარჩელე დ. ც.-ის 2021 წლის 17 სექტემბრის საჩივარი: „(ვაჟბატონ ა. გ.-ის ყოვლად უმსგავსო, ამორალურ ქმედებებთან და აცილებასთან დაკავშირებით)“ - „მოსამართლის მანტიაში გახვეულო ავაზაკო, პ. შ.-ის ძმადნაფიცო და ბოროტმოქმედო, ნაცვლად ჩემი შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა, თქვენ რა გააკეთეთ?!... ეხლა მომისმინე შე გარეწარო, ნაძირალა, შე უწიგნურო მუდრეგო და ანტერო! სად წაიკითხე ჩემს 2021 წლის 14 სექტემბრის შუამდგომლობაში, რომ საქმეში ადვოკატ ზ. პ-ის ჩართვას ვითხოვდი?! ზ.-ს ჩართვა რომ მდომოდა თვითონ ვერ ვეტყოდი და შენი დახმარება დამჭირდებოდა შე ნაგავო?! მე ვხვდები ცბიერულად რისი მიღწევაც გსურდა, გინდოდა ზ. ჩაგერთო ფორმალურად ჩემი საქმის განხილვაში და მშვიდად აღელვების გარეშე შენი ბოროტული ტვინით განგეხილა! ... შე სატანის თავფეხო, შენ ხო ბოროტმოქმედება შეგიძლია და დაზარალებულს ბრალდებულის სასარგებლოდ გამოწერილ შემაკავებელ ორდერს ძალაში დამიტოვებდი, მითუმეტეს იმ ბრალდებულისას, რომელიც ეხლახანს დააკავეს მცირე წლოვანზე სისტემატური ძალადობისათვის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის მუქარის და თვითმკვლელობამდე მიყვანის გამო, შემინარჩუნებდი მოძალადის სტატუსს და პ. შ.-ს შენი ადმინისტრაციული საქმის მონასაქმით სისხლის სამართლის საქმზე აყვირებდი, აი ბატონო მესამეჯერ ცნო დ. ც. ა. გ.-მო მოძალადედო და ჩემი „მსხვერპლი“ როგორ არის ბრალდებულიო! აი ამგვარი ჩათლახობის დამგეგმავი და განმახორციელებელი ხართ თქვენ და ეს სრულიად პროგნოზირებადია.... ასევე, შენ მართლა ჯიმოკენე და ღორისშვილო, რა გააკეთე პროცესის მიმდინარეობისას?!...ამისხენი შე გათახსირებულო ნაბიჭვარო!“.

„ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სულაც არ მიკვირს ქართულ გვარ-სახელს ამოფარებულო თურქ-სელჩუკო, უჯიშო, სინდის-ნამუს გარეცხილო, სელექციური წესით გამოყვანილო ბოროტმოქმედო ქურდი შვილები რომ გაზარდე! ვიღაცა სასტიკად რომ გაამწარე და ჩაგცხრილეს! შენ ხომ მხოლოდ ბოროტმოქმედება შეგიძლია…. ყველაზე საშიში მოძალადე ხართ თქვენ ა. კარგი სახელის გამფუჭებელო, თქვენი თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით, ამიტომ თქვენგან გატანჯულ კაცს არ მაქვს უფლება თქვენს ბოროტმოქმედებაზე და არაკაცობაზე დასაბუთებული სტატუსი გამოვაქვეყნო? არ მაქვს უფლება საზოგადოებას ვამცნო იმ ბოროტმოქმედების შესახებ, რაც წელიწად ნახევარია ტრიალებს ჩვენს თავს და პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო ფეხებზე გვიკიდებს? იქნებ სუნთქვაც ამიკრძალოთ? ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სატანის მსახურო გ., ღმერთმა გაგიხმოთ ეგ თავი, თქვენი ცოდვებისათვის მინდა რომ სიკვდილს ნატრულობდეთ და ის არა და არ მოდიოდეს, თქვენი ბოროტმოქმედების გამო გისურვებთ თქვენ და თქვენი შთამომავლობის ტანჯვას ამ წუთისოფელშიც და იქ ჯოჯოხეთის ცეცხლში სამუდამოდ!... P.S. ახლა გაიქეცი შე ნასედკა და ფოთის პროკურატურაში მიჩივლე! ჩივილის და ბოროტმოქმედების გარდა რა შეგიძლია ცხოვრებაში. შენ ხარ ცივილიზებული საზოგადოების მტერი და არ აგცდება პასუხისმგებლობა კანონის წინაშე მთელი სიმკაცრით“.

20 სექტემბრის შუამდგომლობაში დ. ც.-მ გადმოიტანა 17 სექტემბრის საჩივარში მითითებული ფრაზეოლოგია. ასევე, 04 ოქტომბრის განცხადებაში ადვოკატმა გადმოიტანა 17 სექტემბრის საჩივარში მითითებული მოსაზრებები და ასაბუთებს, თუ რატომ მიიჩვენს საქმიდან მოსამართლის აცილების საჭიროებას.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატ დ. ც.-ის 2021 წლის 17, 20 სექტემბრის და 4 ოქტომბრის შუამდგომლობა.

6. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარის განმარტება და მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ დ. ც. საქმეში არ მონაწილეობდა როგორც ადვოკატი, საზოგადოებაში ის აღქმულია პროფესიასთან და პირად საქმეშიც უნდა ერიდოს პროფესიისათვის ჩრდილის მიყენებას.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ დ. ც.-ის მიერ დარღვეულია სასამართლოს პატივისცემის ვალდებულება:

7.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ პუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის მონაწილეთა უფლებები“.

7.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.1 მუხლი: „ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის

წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს“.

7.2 განხილვის კოლეგიის განმარტებით, ადვოკატის პროფესია არის თვითრეგულირებადი, ღირსეული და საპასუხისმგებლო. ადვოკატი არის დამოუკიდებელი საადვოკატო საქმიანობის განხორციელების დროს, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს სრულ თავისუფლებას. ადვოკატის არაეთიკური ქცევა იწვევს ეთიკური სტანდარტის დარღვევის პროპორციულ პასუხისმგებლობას. სასამართლოსთან ურთიერთობის სტანდარტის დაცვა ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა. ადვოკატი მოსამართლესთან, თანაშემწესთან და სხდომის მდივანთან ურთიერთობის დროს უნდა იყოს ეთიკური, გაწონასწორებული და ღირსეული, როგორც მხარის წარმომადგენელი და ასევე მაშინ, როდესაც ის პირად საქმეს აწარმოებს.

7.3 საქართველოს კონსტიტუციის მე-17.1 მუხლის მიხედვით აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია.“ ხოლო 17.2 მუხლის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.” აღნიშნული უფლებები არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის ლახავს სხვათა უფლებებს. შესაბამისად, ადვოკატებს უფლება აქვთ ისარგებლონ ამ უფლებით და გამოთქვან აზრი, თუმცა მათ უნდა დაიცვან სხვათა ღირსება და არ შეზღუდონ სხვათა უფლებები.

7.4 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (საქმე№11/6/561,568; 2016 წლის 30 სექტემბერის გადაწყვეტილება) განმარტა, რომ „თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათა ღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისთვის შეუცვლელი წყაროა“.

7.5 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში Skalka v Poland (განაცხადი N43425/98; 2003 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება) მიიჩნევს, რომ „დემოკრატია ვერ იარსებებს, თუ ადამიანებს არ მიეცათ საშუალება თავისუფლად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები საჯარო ინსტიტუტებზე. მოსამართლეები, როგორც მნიშვნელოვანი ფიგურები საზოგადოებაში წარმოადგენენ კრიტიკის ობიექტებს, რომელიც ყოველთვის არ იქნება სასიამოვნო მოსასმენი. ზოგიერთი შენიშვნა შეიძლება საფუძვლიანი აღმოჩნდეს, ზოგიც არაფრის მომცემი, მაგრამ მოსამართლეები არ არიან ნაზი ყვავილები, რომ დაჭკნენ მწვავე და ცხარე კრიტიკისგან.

7.6 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში Kyprianou V Cyprus (განაცხადი N73797/01, 2005 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება) დაადგინა, რომ „ადვოკატებს უფლება აქვთ გააკეთონ საჯარო განცხადებები სასამართლო ხელისუფლების შესახებ, მაგრამ მათი კრიტიკა არ უნდა გასცდეს განსაზღვრულ ფარგლებს. ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება არ არის შეუზღუდავი და განსაზღვრული ინტერესები, როგორიცაა სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა, ამართლებს ამ ტიპის შეზღუდვებს.

7.7 კოლეგიის შეფასებით, სადავო საქმე წარმოადგენდა ადვოკატ დ. ც.-ის პირად დავას. მას საქმეში ჰქონდა მხარის სტატუსი. ბათუმის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე ა. გ.) სადავო გახადა მოსარჩელე დ. ც.-ის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი 2021 წლის 14, 17, 20 სექტემბრისა და 04 ოქტომბრის განცხადებები.

7.8 14 სექტემბრის შუამდგომლობას ხელს აწერს საქმეში მოსარჩელის სტატუსის მქონე ადვოკატი დ. ც.. დ. ც. შუამდგომლობით ითხოვს მტკიცებულებათა გამოთხოვას, პროცესის გადადებას და მოსამართლის აცილებას. შუამდგომლობის მეორე გვერდზე მითითებულია: „2020 წლის 27 მაისს N--- გადაწყვეტილებით, მოსამართლის მოვალეობის არა თუ ჯეროვნად, არამედ საერთოდ შეუსრულებლობით, თქვენი თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით მართლსაჯულების საზიანოდ, მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედებით, შებღალეთ სასამართლოს ავტორიტეტი და ზიანი მიაყენეთ სასამართლოსადმი ნდობას“. „ბატონო ა., არ შემიძლია არ გამოვხატო ღრმა აღშფოთება თქვენს პიროვნებასთან დაკავშირებით, ჩემი თქვენდამი კრიტიკა სამართლებრივი ტერმინებით, რომ არაობიექტური და მიკერძოებული ხართ სრულად ვერ წარმოაჩენს იმ სურათს, რასაც თქვენ მართლმსაჯულებაში სჩადიხართ, როგორ არ შეგრცხვათ პროცესზე ჩემს გაქარწყლებულ ნასამართლობაზე, რომ დაიწყეთ მსჯელობა და ჯიუტად გაიძახოდით გაქარწყლებული ნასამართლობა სასჯელის დანიშვნის დროს არ მიიღება მხედველობაშიო, ისე კი როგორც პიროვნების მახასიათებელს გავითვალისწინებ და ვითვალისწინებო, როგორც ჩანს შემდეგ მიხვდით მაგარ სისულელეს, რომ ამბობდით და აღნიშნული არ შეიტანეთ N--- გადაწყვეტილებაში, თუმცა სხდომის ოქმში დაფიქსირდა და ამ და სხვა საკითხებზე აუცილებლად მიემართება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს; ვერ დავიჯერებ, რომ ნაგამომძიებელი, ნაპროკურალარი კაცი ენდეთ მ. ნ.-ს, ჯ. ც.-ს და უბრალოდ მოტყუვდით, რატომ იცრუეთ გადაწყვეტილების 4.1.2 ფაქტობრივ გარემოებაში და ა.შ.“. კოლეგიას მიაჩნია, რომ მხარის მიერ წარდგენილი 2021 წლის 14 სექტემბრის განცხადება წარმოადგენს დასაშვებ კრიტიკას.

7.9 საქმეში წარმოდგენილია მოსარჩელე დ. ც.-ის 2021 წლის 17 სექტემბრის საჩივარი „(ვაჟბატონ ა. გ.-ის ყოვლად უმსგავსო, ამორალურ ქმედებებთან და აცილებასთან დაკავშირებით)“. საჩივრის პირველი გვერდის მეორე აბზაცში მითითებულია ფრაზეოლოგია: „მოსამართლის მანტიაში გახვეულო ავაზაკო, პ. შ.-ის ძმადნაფიცო და ბოროტმოქმედო, ნაცვლად ჩემი შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა, თქვენ რა გააკეთეთ?!... ეხლა მომისმინე შე გარეწარო, ნაძირალა, შე უწიგნურო მუდრეგო და ანტერო! სად წაიკითხე ჩემს 2021 წლის 14 სექტემბრის შუამდგომლობაში, რომ საქმეში ადვოკატ ზ. პ.-ს ჩართვას ვითხოვდი?! ზ.-ს ჩართვა რომ

მდომოდა თვითონ ვერ ვეტყოდი და შენი დახმარება დამჭირდებოდა შე ნაგავო?! მე ვხვდები ცბიერულად რისი მიღწევაც გსურდა, გინდოდა ზ. ჩაგერთო ფორმალურად ჩემი საქმის განხილვაში და მშვიდად აღელვების გარეშე შენი ბოროტული ტვინით განგეხილა! ... შე სატანის თავფეხო, შენ ხო ბოროტმოქმედება შეგიძლია და დაზარალებულს ბრალდებულის სასარგებლოდ გამოწერილ შემაკავებელ ორდერს ძალაში დამიტოვებდი, მითუმეტეს იმ ბრალდებულისას, რომელიც ეხლახანს დააკავეს მცირე წლოვანზე სისტემატური ძალადობისათვის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის მუქარის და თვითმკვლელობამდე მიყვანის გამო, შემინარჩუნებდი მოძალადის სტატუსს და პ. შ.-ს შენი ადმინისტრაციული საქმის მონასაქმით სისხლის სამართლის საქმზე აყვირებდი, აი ბატონო მესამეჯერ ცნო დ. ც.-ე ა. გ.-მო მოძალადედო და ჩემი „მსხვერპლი“ როგორ არის ბრალდებულიო! აი ამგვარი ჩათლახობის დამგეგმავი და განმახორციელებელი ხართ თქვენ და ეს სრულიად პროგნოზირებადია.... ასევე, შენ მართლა ჯიმოკენე და ღორისშვილო, რა გააკეთე პროცესის მიმდინარეობისას?!...ამისხენი შე გათახსირებულო ნაბიჭვარო!“.

7.10 „ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სულაც არ მიკვირს ქართულ გვარ-სახელს ამოფარებულო თურქ-სელჩუკო, უჯიშო, სინდის-ნამუს გარეცხილო, სელექციური წესით გამოყვანილო ბოროტმოქმედო ქურდი შვილები რომ გაზარდე! ვიღაცა სასტიკად რომ გაამწარე და ჩაგცხრილეს! შენ ხომ მხოლოდ ბოროტმოქმედება შეგიძლია…. ყველაზე საშიში მოძალადე ხართ თქვენ ა. კარგი სახელის გამფუჭებელო, თქვენი თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით, ამიტომ თქვენგან გატანჯულ კაცს არ მაქვს უფლება თქვენს ბოროტმოქმედებაზე და არაკაცობაზე დასაბუთებული სტატუსი გამოვაქვეყნო? არ მაქვს უფლება საზოგადოებას ვამცნო იმ ბოროტმოქმედების შესახებ, რაც წელიწად ნახევარია ტრიალებს ჩვენს თავს და პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო ფეხებზე გვიკიდებს? იქნებ სუნთქვაც ამიკრძალოთ? ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სატანის მსახურო გოგუაძე, ღმერთმა გაგიხმოთ ეგ თავი, თქვენი ცოდვებისათვის მინდა რომ სიკვდილს ნატრულობდეთ და ის არა და არ მოდიოდეს, თქვენი ბოროტმოქმედების გამო გისურვებთ თქვენ და თქვენი შთამომავლობის ტანჯვას ამ წუთისოფელშიც და იქ ჯოჯოხეთის ცეცხლში სამუდამოდ!... P.S. ახლა გაიქეცი შე ნასედკა და ფ. პროკურატურაში მიჩივლე! ჩივილის და ბოროტმოქმედების გარდა რა შეგიძლია ცხოვრებაში. შენ ხარ ცივილიზებული საზოგადოების მტერი და არ აგცდება პასუხისმგებლობა კანონის წინაშე მთელი სიმკაცრით“.

7.11 20 სექტემბრის შუამდგომლობაში ადვოკატმა გადმოიტანა 17 სექტემბრის საჩივარში მითითებული ფრაზეოლოგია. ასევე, 04 ოქტომბრის განცხადებაში ადვოკატმა გადმოიტანა 17 სექტემბრის საჩივარში მითითებული მოსაზრებები და ასაბუთებს, თუ რატომ მიიჩვენს საქმიდან მოსამართლის აცილების საჭიროებას.

7.12 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატი დ. ც. საქმეში წარმოადგენდა მხარეს. შესაბამისად, მას შეეძლო საკუთარი აზრი გამოეთქვა მძაფრად და კრიტიკულად. ასევე, კოლეგია ყურადღებას ამახვილებს გარემოებაზე, რომ კონკრეტული დავა, ადვოკატ დ. ც.-ისათვის არის მგრძნობიარე, თუმცა საზოგადოების ფართო ფენებისათვის ცნობილია, რომ დ. ც. ადვოკატია;

ადვოკატის მიერ დაწერილ 17, 20 სექტემბრისა და 04 ოქტომბრის შუამდგომლობაში მოსამართლე მოხსენიებულია არაეთიკური, აგრესიული და შეურაცხმყოფელი ეპითეტებით. მიუხედავად იმისა, რომ საქმე ეხებოდა ადვოკატის პირად დავას, კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატის ემოციურ მდგომარეობას, თუმცა მიაჩნია, რომ ის კრიტიკის გამოთქმისას გასცდა ეთიკურ ფარგლებს, რაც დამკვიდრებულია საზოგადოებაში.

7.13 კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ დ. ც.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა - სასამართლოსთან ურთიერთობის ეთიკური ვალდებულების დარღვევა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.გ, ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.1), რის გამოც მას უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

7.14 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე.

7.15 ადვოკატს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა) ან/და ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34).

7.16 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15, 01.04.2015).

7.17 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

7.18 ეთიკის კომისია ითვალისწინებს, რომ საქმე ეხება ადვოკატის პირად დავას, ასევე ფაქტს, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი და ადგენს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული პროფესიული ვალდებულების დარღვევის პროპორციული დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა.

7.19 კერძო სარეკომენდაციო ბარათი, რომლის შინაარსი კონფიდენციალურია, შეიცავს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და

დისციპლინური გადაცდომის მომავალში თავიდან აცილების მიზნით, რომლის შინაარსი (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 38).

7.20 კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35–ე და 38–ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N065/21 ადვოკატ დ. ც.-ის მიმართ /სიითი N/ დადგინდეს დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/